

# საქართველო

ეროვნული  
ნიშნით

საერთოული გაზეთი

ოთხშაბათი 14 თებერვალი 2001 №24 (1297)

ფასი 50 თეთრი

ამხანაგური მატი



## საქართველო-უკრაინა

14 თებერვალი. თბილისი. ეროვნული. 15 საათი



### უკრაინა მუვიდად გვემუქრება



უკრაინელებმა აეროპორტიდან „შერატონ მეტეხი პალასს“ მიაშურეს



გადრი კითხილამის ფოტო

დღეს საქართველო უკრაინას ამხანაგურად მესამედ გაეჯიბრება. გუშინ უმთავარმწვრთნელო და ულეგიონო უკრაინა თბილისში ჩამოვიდა, თუმცა ერთი ლეგიონერი მაინც ჩამოიყვანა. მან „შერატონ მეტეხი პალასის“ ნაცვლად დიღმის სანვრთნელ ბაზას მიაშურა. მიხედვბოდით, თბილისისა და კიევის დინამოელს, ამჟამად მილანელ კახა კალაძეს ვგულისხმობთ.

იხილეთ მესამე-მეოთხე გვერდები

### რეალი, თითქმის ირეალური

გუშინ 69-დღიანი მონატრების შემდეგ ჩემპიონთა ლიგა განახლდა და პირველსავე დღეს ერთი ისეთი თამაში გვიფეშქაშა, ბევრზე-ბევრი აქამდე ნაქები რომ გაახუნა. „რეალისა“ და „ლაციოს“ მადრიდული შეხვედრა ისეთი იყო, გულშემატკივართა მეხსიერებას დიდხანს რომ შემორჩება. ანგარიში ანგარიშად, დრამატიზმი დრამატიზმად და ფიგუს, რობერტო კარლოსის, რაულის, პერუცის და ნესტას ხილვა ერთ კი არა, მართლაც რომ ბევრ რამედ ღირდა.



REUTERS მადრიდიდან



რეალი — ლაციო 3:2. ანჯელო პერუცის თითხე ლუიმ ფიგუმ კბენინა

<p>UEFA CHAMPIONS LEAGUE C ჯგუფი</p>	
ლიონი	0
არსენალი	1
ბაიერნი	1
სპარტაკი	0
D ჯგუფი	
რეალი	3
ლაციო	2
ლიდსი	2
ანდერლახტი	1



# ფეხბურთი

## ჩემპიონთა ლიგა II ეტაპი. III ტური

ეროვნული ჩემპიონთა ლიგა

### C ჯგუფი

#### ლიონი 0:1 ბრანსაული

0:1 ანრი (58)  
 ლიონი: კუბე, დეფლანდრე, მიულერი, ედმონსონი, ბრუნო, ლეკლი (დელოტი 83), ფოუ ვოლო (მალბრანტი 76), დორასო (გოუუ 76), მარლე, ს. ანდერსონი

ბრანსაული: ფაბ სანტინი, ბრანსაული: სიმენი, დიქსონი, გრიმინდი, ადამსი, უშლი კოული, პარლოუ, ლორენი, ვიერი, პორსი (ლოუნბერტი 69), ანრი, კანუ (ვიესი 89)  
 ბრანსაული: არსენ ვენკერი  
 მსაჯე: ურს მადერი (შვეიცარია)  
 42 000 მაყურებელი

#### ბაიერნი 1:0 სპარტაკი

1:0 ელბერი (79)  
 ბაიერნი: კანი, კუფერი, იერემისი, ლინკ, ლიზარაზუ, ფინკი, სალიამიჯიჩი, შოლი (სანიოლი 82), ეფენბერტი (ტარნატი 89), პაულო სერჟიო (იანვერი 65), ელბერი

სპარტაკი: ფილიპონოვი, ანანკო, კოვტუნკი, მიტრევიკი, მუსი, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, ირისმეტოვი, რობსონი, მარკაო (ბერნარდინი 72)

ბრანსაული: ოლეგ რომანცევი  
 მსაჯე: კრუდერი (ფინეთი)  
 31 000 მაყურებელი

ბაიერნი	3	2	1	0	4:2	7
არსენალი	3	1	1	1	4:6	4
ლიონი	3	1	0	2	3:2	3
სპარტაკი	3	1	0	2	4:5	3

### D ჯგუფი

#### რეალი 3:2 ლაციო

0:1 კრესპო (4), 1:1 მორინტესი (32), 2:1 ელგერა (82), 2:2 გოტარდი (84), 3:2 ფიგუ (88)  
 რეალი: კასილიასი, სალგადო, კარანჯა, რობერტო კარლოსი, იერო, მავუელე ელგერა (სოლარი 90), მაკანამანი (გუტი 76), ფიგუ, როული, მორინტესი (შენიტისი 65)

ლაციო: პერუცი, ნეგრო, ნესტა, ფერნანდუ კოუტუ, პანკარო, სიმონე (მუნილივი 89), კასტრომანი (გოტარდი 60), ნედევი, ვერონი (ბარონი 84), კრესპო, სალასი

ბრანსაული: დინო მოვი  
 მსაჯე: ფილ ვესი (საფრანგეთი)  
 80 000 მაყურებელი

#### ლიფსი 2:1 ბნადრლანტი

0:1 სტოიკა (65), 1:1 პარტი (74), 2:1 ბოიერი (86)  
 ლიფსი: მარტინი, ფრედინანდი, რადეგ, მატეო (კოული 53), პარტი, დაკური (ბაკე 72), მილსი, ბოიერი, ბეტი, ვიდუკა, სმიტი

ბნადრლანტი: მილოშევი, კრასარი, ილიჩი, დე ბოევი, დევენი, ვანდერვეტ პასევიო, სტოიკა, გოლოვი, კოლევი, რაბინსკი

ბრანსაული: ემე ბიტურესი  
 მსაჯე: კარლ ურიკ ნილსონი (შვედეთი)  
 36 054 მაყურებელი

რეალი	3	3	0	0	9:3	9
ლიფსი	3	2	0	1	3:3	6
ანდერლესტი	3	1	0	2	3:6	3
ლაციო	3	0	0	3	2:5	0



ბაიერნი — სპარტაკი 1:0. ბოლოში ჟოანის ელბერის ამ გოლმა ილექსანდრ ფილიპონოვი და მოსკოვის „სპარტაკი“ წაახდინა

REUTERS მაგნიფიკანტი



რეალი — ლაციო 3:2. ფინალის ბრძანებულება: რეალი (N67), რობერტო კარლოსი (N63), სხვა თანაგუნდელები და მადრიდელი ქომაგები ფერნანდო მორინტესს პირველ გოლს ულოცავენ



ბრანსაული დიდებულმა სპეციალმა „სანტიანო ბერნაბეუზე“ კინოგარსეულადი ენტონი ჰოპკინსიცი აღაფრთოვანა

REUTERS მაგნიფიკანტი



ლიფსი — ანდერლესტი 2:1. უკვე მირამონილი ბოიერიმა მისპინძლები გამარჯვების გოლით გაიხარა

### ინგლისი

I დივიზიონი  
 გადამდებული მატჩები  
 პორტსმუთი 1:2 გოლტონი  
 0:1 რიუტლი (48), 0:2 პანჩი (7), 1:2 პანაბული (89)  
 შივილი უინსონი 1:0 ბრანსაული  
 1:0 კოუ (77)  
 სტოკპორტი 0:1 პრისტონი  
 0:1 პული (74)

II დივიზიონი  
 გადამდებული მატჩები  
 ბრისტოლი 2:1 რედაინგი  
 ნოთისი 1:0 ლუთონი

III დივიზიონი  
 გადამდებული მატჩები  
 სახანოური 0:0 რუფიდილი

### გალობული ხი კარაიფი

კარაიფილი 2:3 პარტლუპული  
 მაკლსონილი 2:1 შრინსპირი  
 მინსონილი 2:1 ჩილტონი

### ასონიაციონი თასი

1/16 ფინალი. გადამდებული  
 უინგლფონი (1) 3:1 დ. (1) მინდლსპირი  
 0:1 რიკარდი (45), 1:1 ფოლი (76), 2:1 ფული (96), 3:1 პანტი (12)

### შოტლანდია

1/16 ფინალი. გადამდებული  
 ფანჯირფონი 3:2 სინტ პრუსტონი  
 0:1 რასელი (3), 0:2 ლოუნდსი (43), 1:2 ტომარი (61), 2:2 დიკოუზნი (77), 3:2 მისი (83)  
 მერვედინალი ში „დინდერმლინი“ შერედეგა გლანგონ „სელტიკს“



ლიონი — არსენალი 0:1. ტიერი ანრი (მარჯვნივ) მისპინძლები ბრანსაულით მცველ ედმონსონს რომ გაეცა, თვისტომნიცი დაიპყრება

REUTERS მაგნიფიკანტი
























# სარბიელი სპორტული ლაბარია



ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებულ ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

	ფურცელადის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	სავაჭრო ცენტრი
<b>თბილისი</b>	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	ნერეთლის გამზირი №11	
<b>ქუთაისი</b>	პუშკინის ქუჩა №16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
<b>გორი</b>	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
<b>თელავი</b>	კოსტავას ქუჩა №23	
<b>რუსთავი</b>	შარტავას ქუჩა №7	
<b>ბათუმი</b>	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა

## ბათუმაშუბის წესები

თბილისში მონაწილე პირის მიზანია, გამოიყენოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, ნაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშე უნდა გამოიყენოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეთაქვით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვიტორის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

- 1 ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
- 2 შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მიწოდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
- 3 შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
- 4 მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
- 5 წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
- 6 არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვიტარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიანი სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლა-

რი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვიტარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვიტორის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვიტარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვიტარი თვითკომპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვიტარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვიტარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვიტარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვიტარების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვიტარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღლებს იმ ქვიტარებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.








REUTERS ტამბერედან



# აპო ვეთსოვები?

ქალი-შავი პარანთდი კარიბის ზღვაში, იამაიკის სიამაყე, თრმთცს გადაცილებული მძლეოსანთა მძლეოსანი მერლინ თტი, აგურ ახლა აცხადებდა, ოლიმპიადის შემდეგ სპორტს უნდა გამოვეთხოვოთ. ჩვენ კი რას ეხედავთ? ფინურ ტამპერეში, ჭერქვეშა თამაშებზე მერლინ თტი კვლავ სარბენ ბილიკზე და კვლავ პირველია. ბელარუს ნატალია საფრთხიანოვასა და ფინელ იოუანა მანინეს დიახაც უჭირთ დიადთან ჭიდილი. თტის მოუგია 60 და 100 მეტრზე გარბენები.



REUTERS ნეცადან

# ვინუსი და მარინი

ფრანსულ ლამაზ ნიცაში იქაურ ქალთა პირველ საერთაშორისო ტურნირზე სათამაშოდ ჩასულა ჩოგბურთის ორი შავი ავაზიდან ერთ-ერთი, ვინუს უილიამსი და იქაური სტადიონიც დაუთვალაიერებია. ვინუსი მიფერებია იქ მიყვანილ საბრალო ხეობარ ვოგონა მარინს და მისიანებისთვის მხარდაჭერაც აღუთქვამს.

# პარიზული კვანტისტრიული

პარიზის ტურნირი უგანთქმულესია მსოფლიო პიუდოში. აქ ქალიც და კაციც სხვაგვარი ეშხით და გაქანებით ჭიდაობს. ისე მოხდება ხოლმე, რომ თვით ოლიმპიურ ჩემპიონსაც კი საქმე წაუხდება. ასე დამართნია ქალთა ტურნირში ფრანგ სევერინ ვანდენენდს (მუქ კიმიონში). მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი დაუმარცხებია იაბონელი კეიკო შაედა, მაგრამ 63 კილოგრამიანთა კატეგორიაში პირველობა მისივე თანამემამულე ლუსი დეკოსს რგებია.



# ესეც პრიზი

ლას ვეპასის „ემჯიემ გრანდ გარდენში“ დიდი ყველობაა. კინოში კუნთის დამამკვიდრებელი სილვესტერ სტალონე „ისპი“-ს პრიზს გადასცემს მარიონ ჯონსს, ვისაც კუნთები მართლაც რომ ბატიბუტივით აყრია და ხელის გადაწევაში ათიდან რვაჯერ აჯობებს ამ სტალონეს. ჯონსი წლის საუკეთესო ქალ მძლეოსნად გამოუცხადებიათ და ჯილდოც მისაია.



REUTERS ლას ვეპასიდან

# ჩემს უტრასაზე



ბანბ ბევრ ცოცხალს ღირსებია მშობლიურ ქალაქში თავისი სახელობის ქუჩა? კომუნისტ ბელადებს თუ არ ჩავთვლით, ალბათ ცოტას. ამ ცოტაში კი ამიერიდან ფორმულელი მრბოლი მისხელ შუმახერიც მოიხსენიება. მის მშობლიურ კერპენში ამიერიდან „მისხელ-შუმახერ-უტრასე“ იქნება. და შუმახერიც იტყვის, ჩემს ქუჩაზე გავედით.



REUTERS კერპენიდან

# სარბიელი

საორტული გაზეთი  
გამოიცვამა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის საშაბათს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოცხვერია  
დირექტორი გიორგი ოძროშაძე  
რედაქტორი თამაზ მიხრიაული  
ტექნიკური რედაქტორი ვასტანბ ბზიკაძე  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი  
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორ-

მაციის რედაქცია ვია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში ოუზა კაციაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღუაწყაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გულუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევიაძე, მავდა დოგრაშვილი, კანა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შილაშვილი, გურამ ხელაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.  
საზოცტო მისამართი:  
თბილისი - 79, საზოცტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge